**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 241 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 241

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.


დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 23-ს ოკდომბერს.

---

**ევგენი იოსების ძე კერესელიძე, ლევან, გიორგი, ვახტანგ** და **ელენე მათეს ძენი კერესელიძეები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა—პირველი რძლისას, ხოლო მეორენი—დედისას

**მარიამ ივანეს ასულის კერესელიძისას**

და სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ ს. მეჯვრისხევს 21 ოკდომბერს, დილის 9 საათზე, საიდამაც მიცვალებულს გაასვენებენ დასაკრძალავად ს. ახრასში.

---

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

ხუთშაბათს, 21 ოკდომბერს,

წარმოდგენის წინად შეასრულებენ საერო ჰიმნს: «ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა!».

წარმოდგენილი იქნება

**ქიზნ ზა ცარია**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა გლინკასი.

**მონაწილეობას მიიღებენ:** ქ-ნნი ანტონოვისა, შიხუცკაია-მინჩენკო და სხვ.; ბ-ნნი რიბაკოვი, გალეცკი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლეჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

**დასაწყისი 8 საათზედ.**

—

პარასკევს, 22 ოკდომბერს, «ნერონის» გაძლიერებულ რეპეტეციების გამო, წარმოდგენა ა/რ გაიმართება.

—

შაბათს, 23 ოკდომბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ნ ე რ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა რუბინშტეინისა.

—

კვირას, 24 ოკდომბერს,

პეტროვა-ზვინცევის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

**ვერტერი**

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა მასსნესი.

მზადდება წარმოსადგენად პირველად M-lle **ფიფი**, 1 მოქმ., მუსიკა ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.

---

დოქტორი მედიცინისა

**გ. ა. ახვერდოვი**

სპეციალისტი ვენერიულ ავადმყოფობისა და სიფილისისა. მიიღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათამდე, საღამოთი 6—9 საათამდე.

კუკია, სემიონოვის ქუჩა, № 20.

(30—22).

---

ოქტომბრიდან გამოვა ხელახლად

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

**„ჯეჯილი“**

ძველი პროგრამით ● იმავე რედაქტორობით

წლიური გამოცემის ფასი 4 მ., ქალაქ გარედ 5 მან.

---

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**[illegible] მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ნ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ნ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

ნლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოხუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელნიქოვის და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

მანჯურიის მეორე არმიის სარდალი. პეტრებურგიდან გაზეთს „რუსსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ, რომ 14 ოკდომბერს პეტერბურგ-ვარშავის ვაგზალზედ გააცილეს მანჯურიის მეორე არმიის სარდალი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი. გამოთხოვებისას დალოცეს ახალი სარდალი და გაატანეს წმიდა ხატები მოსკოვის პოლკმა და საიმპერატორო მსროლელებმაო (რ. ს.).

—

პორტ-არტურის ესკადრა. გაზეთ «ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ»-ს პარიჟიდან ატყობინიბენ, ვითომც პორტ-არტურის ესკადრა გამოსულიყოს ნავთსადგურიდან და გაერღვიოს იაპონელ გემების ალყა ზღვაში. ერთი ჯავშნიანი გემი და ერთიც კრეისერი ვითომც დაღუპულა, ხოლო დანარჩენი ესკადრა მშიდობიანად გასცლია ტოგოს ესკადრას. რამდენად მართალია ეს ამბავი, ჯერ არ ვიცითო. (იქვე).

—

კაპიტანი ოქროპირიძე. 14 ოკდომბერს პეტრებურგში ჩასულა, სხვათა შორის, კაპიტანი ომსკის პოლკისა ოქროპირიძე, რომელიც დაიჭრა აგვისტოში. ლიაოიანის ომის დროს. კაპიტანს ტყვია მოჰხვედრია ლოყაში. იგი დააწვინეს მოსარჩენად ნიკოლოოზის სამხედრო საავადმყოფოში. (ნოვ.).

—

სულითავადმყოფთა ვაგონები. წითელის ჯვრის აღმასრულებელმა კომისიამ განიზრახა შეუკვეთოს რამდენიმე განსაკუთრებული ვაგონი შეშლილ ჯარისკაცებისათვის. თურმე ამ ომიანობაში ბლომათ სცდებიან მეომარნი ჭკვიდან და მათი მოგზაურობა სხვა ავადმყოფებთან ერთათ ძალიან საშიშოა მეზობლებისათვის. (ნოვ.).

—

სანიტარული მდგომარეობა ჩვენის ჯარისა. „ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი ბ-ნი როსტოვცევი შემდეგს იწერება უკანასკნელად მომხდარ ბრძოლის შესახებ: ბევრი დავკარგეთ და ვიზარალეთ ჩვენ ამ ომში, მაგრამ ყველა ეს დასაკლისი, წინად მომხდარ ზარალთან ერთად აღებული, მაინც ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე უწინდელ ომებში ხდებოდა, ჩვენ თითქმის იმის მაგალითიც კი არ ვიცით, რომ ვინმე გადამბდებ სენს ემსხვერპლოს.

ჩვენის ჯარის სანიტარული მხარე, წითელის ჯვრის ექიმთა წყალობით, შესაფერ სიმაღლეზე არის დაყენებული. დაჭრილთა მომეტებული ნაწილი კვლავ ბრუნდება მოქმედ ჯარში. აგრეთვე კარგად არის მოწყობილი საინტენდანტო ნაწილი: ჩვენი ჯარის კაცი აქ ბევრად უფრო კარგად იკვებება, ვიდრე რუსეთში. ამ ჟამად მანჯურიის ჯარში მყოფ ავადმყოფთა რიცხვი ბევრად უფრო ცოტაა, ვიდრე მშვიდობიანობის დროს იყო. ეჭვს გარეშეა, რომ ჯარი, რომელმაც აგრე მშვენივრად გადაიტანა მანჯურიის ტროპიკული სიცხე, ბევრად უკეთესად გარდაიტანს მომავალ შემოდგომას და ზამთარს. (ნ. ვ.).

—

ქართველთა რაზმი. აი რას გადმოგვცემს „ხარბინის მოამბე“ ხარბინში მყოფ ქართველთაგან შემდგარ თავისუფალ რაზმის მოქმედების შესახებ: მდინარე ლიაოხეს გაყოლებით და მანჯურიის საზღვარზე რაზმს დავალებული ჰქონდა თვალ-ყური ედევნებინა ხუნხუზთა მოქმედებისათვის. ბრძანების შესრულების შემდეგ ქართველთა რაზმი, რომელსაც უფროსობდა თ-დი წულუკიძე უკანვე დაბრუნდა ჯარის მთავარ სადგომში, საიდანაც ისინი დაგზავნილ იქმნენ სხვა და სხვა პოლკებში. ამ რაზმის ერთი ნაწილი განწესებულ იქმნა აგრეთვე სახელგანთქმულ მადრიტოვის პარტიზანულ რაზმში. შემდეგ ომებშიაც არა ერთხელ ისახელეს თავი ქართველებმა თავიანთის გულადობით და მცირე შეტაკებებში გამოჩენილ მამაცობით. თვით ნ. ნ. წულუკიძე, რომელიც იმყოფებოდა გენერალ გერნგროსთან და დაესწრო ვაფანგოუსა და ლიაოიანთან მომხდარ ომებს, მეტად ლამაზი წარმოსადეგი ვაჟკაცია და ტიპიური წარმომადგენელია ქართველთა არისტოკრატიისა. ამ ექვსი თვისს გამავლობაში ის დასწრებია ყველა უმთავრესს ომებს და შეტაკებებს, მის გვერდით დასჭრეს აგრეთვე გენერალი გერნგროსი.

26 ივლისს ნ. წულუკიძე, ერთი მისივე ამხანაგი ქართველი და სამი ყაზახი გაგზავნილ იქმნენ ახლო-მახლო ადგილების დასაზვერავად. როდესაც ერთ ხეობაში შედიოდნენ, ერთბაშად მოისმა ჩასაფრებულ იაპონელთა თოფების გრიალი და ჩვენნი მხნე მეომარნი თვალის დახამხამების უმალ შუაში მოიმწყვდიეს. მეტად თავ-გამოდებით იბრძოდნენ ჩვენები, ოთხი მათგანი იქვე განგმირულ იქმნა, გადარჩა მხოლოდ თ. წულუკიძე, რომელიც, რაღაც მანქანებით, სრულიად უვნებელი გამოსულიყო ბრძოლიდან. თავადმა დაწვრილებით მოახსენა უფროსს მტრის ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ ცნობები; გენერალ გერნგროსმა ამ სამსახურის შესრულებისათვის ის წარადგინა გიორგის ჯვარზე.

როგორც წულუკიძის სიტყვებიდან სჩანს, რუსის პატარა ქვეითა რაზმებს მეტად უჭირებს საქმეს ხუნხუზთა უთვალავი ბრბო, რომელნიც თავისუფლად დათარეშობენ ახლო-მახლო მიდამოებში, და მისის აზრით, რომ გამოგზავნიდნენ მათ წინააღმდეგ სამოქმედოთ კავკასიის შვილთაგან შემდგარ რაზმს, შესაძლებელი გახდებოდა ხუნხუზთა სავსებით ალაგმვა. (ხ. მ.).

---

## ახალი ამბავი

—

*** † **მარიამ ივანეს ასულ კერესელიძისა.** სოფ. მეჯვრისხევში, გორის მაზრაში, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა მარიამ, ივანე ყანჩელის ასული, კერესელიძისა, მეუღლე ცნობილის ქართველის საზოგადო მოღვაწე კაცისა განსვენებულის მათე იოსების ძის კერესელიძისა. ცოლ-ქმარმა განსაკუთრებით ისახელეს თავი თავის მოღვაწეობით ქ. გორში. ახლად განსვენებული მარიამ კერესელიძისა, სხვებთან ერთად, მართავდა წარმოდგენებს და შეგროვილ ფულს უგზავნიდა სხვა და სხვა გაჭირვებულ ქართველ ახალგაზდებსა. რამდენიმე ქართველი მოღვაწე ვიცით, რომელნიც ეხლაც არიან და რომელთაც იმის შემწეობით ცხოვრების გზა გაიკვლიეს. გაიგებდა თუ არა განსვენებული მარიამი, რომ ესა და ეს ქართველი ახალგაზრდა გაჭირვებაშიაო, ან საპატიმროში, ან ცოლშვილი მისი იომენს რაიმე ნაკლს სახლშიო, მაშინვე ჩამოუვლიდა მთელს ქალაქს გორსა, კიდიდამ კიდემდე, შეაგროვებდა ფულსა და გადასცემდა გაჭირვებულსა. მისი სახლის კარი ღია იყო ყველასთვის, იგი სულით და გულით იყო გაჭირვებულთა, იგი პროვინციის თვალი იყო, პროვიციის დიდება თავის დროზე. ქმრის სიკვდილის შემდეგ საკუთრივ მისს მზრუნველობის ქვეშ დარჩა ხუთი შვილი, უარარაოდ; აგერ შვიდი წელიწადი სწია მარტომ მძიმე უღელი სიღარიბისა და არც კი ვისმეს უკითხავს საბრალო მარიამის ყოფა-მდგომარეობის ამბავი. სიღარიბემ ხელი შეუშალა და შვილებს საბრალომ ბოლო ვერ მიადევნა, დარჩნენ საბრალო ხუთნი ძენი და ასული მისი ულუკმა-პუროდ, უარარაოდ. ასე ვუხდით ჩვენ, ქართველები, მოღვაწე ადამიანებს ამაგსა.

განსვენებულს მარიამს დღეს, 21 ოკდომბერს, მიაბარებენ შავს მიწას თავის საგვარეულოში, ს. ახრისში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, მადლიანო ადამიანო, უანგარო მოღვაწე ქალო, მწუხარეთა და მაშვრალთა მუდამ შემბრალებელო!

*** **სკოლის კურთხევა კოჯორში.** 19 ოკდომბერს კოჯორში აკურთხეს სამრევლო პირველ-დაწყებითი სკოლა, რომელიც დაარსებულ იქმნა მღვდ. კორ. ელიზბარიშვილის მეცადინეობითა და მეთაურობით. ამ დღესვე სკოლაში მიღებულ იქმნა 40-მდე ბავშვი—ქართველები, სომხები და მაჰმადიანები. მასწავლებლად მოწვეულია საეპარქიო დედათა სასწავლებელში კურს დამთავრებული ქ-ნი მარიამ ჭუხრუკიძის ასული. სკოლა თვალსაჩინო ადგილასაა მოთავსებული, ეკკლესიის გვერდით, და შიგვეა მასწავლებლისათვის ოთახიც. მამა კორნილე ელიზბარიშვილის მეცადინეობით სოფ. წავკისის სამრევლოში, ექვსის წლის განმავლობაში, ორი სკოლა იქმნა დაარსებული.

*** **ისევ საერობო დაწესებულებაზე.** გუშინდელ ნომერში მოყვანილი გვქონდა ამბავი «რიგის ვედომოსტიდგან», რომ ხმა დადის, ვითომ ძალიან მალე უნდა შემოიღონ ბალტიის ზღვის პირას მდებარე გუბერნიებშიაც 1864 წლის საერობო დებულებაო. ახლა, როგორც ამ გაზეთს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, ეს ხმა მართლდება და ამ მოკლე ხანში გადაწყდება ამ საგნის შედეგი.

*** **ექსკურსია.** გუშინ, 20 ოკდომბერს, ტფილისის რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი ექსკურსიად წავიდნენ სანაინს. მოსწავლენი, სხვათა შორის, დაათვალიერებენ ადგილობრივ ქარხანას. გუშინვე ქუთაისიდგან ბათუმსა და ჩაქვას ექსკურსად წავიდნენ ქუთაისის გიმნაზიის მოწფენი.

*** **გენერ. ყაზბეგის ჩამოსვლა.** 19 ოკდომბერს ტფილისში ჩამოვიდა ვარშავის ციხის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი გიორგი ნიკოლოოზის ძე ყაზბეგი.

*** **ასფალტის დაგება ტფ. ქუჩებში.** ქუჩების საუკეთესოდ მოსაკირწყლავად არსებულმა კომისიამ გადასცა სიზრანის ასფალტის საზოგადოების წარმომადგენელს ჩერნოვს ქუჩების მოკირწყვლის საქმე, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ბედ დაუჭიროს მანეთში 33%. თითოეული საჟენი უნდა გააკეთოს ჩერნოვმა 30 მან. 50 კ. და სამის წლით უნდა უზრუნველ ჰყოს ქალაქი. ასფალტით მოჰკირწყლავენ მხოლოდ სასახლისა და ბარიათინსკის ქუჩებს; ამასთანავე, ჩერნოვმა 5% ასფალტით დასაგების ქუჩისა მუქთად უნდა შეაკეთოს.

*** **ხოლერა ერევანსა და მის გუბერნიებში.** ერევნიდგან იუწყებიან, რომ ხოლერა იქაც გაჩენილა. 15 ოკდომბერს ავად გამხდარა საეჭვო ხოლერით ერთი თავრიზიდგან მოსული მაჰმადიანი. ერევნის გუბერნიის დაბა ბაშნორაშენში 18 ოკდომბერს ხოლერით ავად გამხდარა 2 კაცი, გარდაცვლილა ერთი.

*** **ტუსაღის გაქცევა.** ბათუმიდგან «ცნ. ფ.»-ს ატყობინებენ, რომ დარაჯებს 17 ოკდომბერს გაჰქცევიათ დამნაშავე ნოე რამიშვილი, რომელიც ბათუმიდგან უნდა გაეგზავნათ. რამიშვილის შესაპყრობად სასტიკი ღონისძიებანი მიუღიათ.

*** **სომხების საქმე.** 14 ოკდომბრიდგან 18-მდე ტფ. სამოსამართლო პალა-

ტის სისხლის სამართლის 1-ლ დეპარტამენტმა, ფ. ფ. დეპპის თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე იმ სომხებისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ შარშან, 29 აგვისტოს, ქ. განჯაში უწესოების მოხდენა (როგორც საბრალმდებლო ოქმიდგანა სჩანს) წინასწარ ერთმანეთს შორის შეთანხმებითა და სხვების წაქეზებით, თუმცა გამოძიებამ ეს წაქეზება ვერ აღმოაჩინა, პოლიციის მოხელეთა და საგანგებო კომისიისთვის წინააღმდეგობის გაწევა სამსახურის აღსრულებისას სომეხთა საეკლესიო მამულების ხაზინისადმი ჩაბარების დროს. სულ დამნაშავის სკამზედ იჯდა 40 კაცი. ეს საქმე წინად ოლქის სასამართლომ განიხილა და 18 მათგანი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა, ხოლო დანარჩენნი-კი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება: 5 მათგანს—1 თვით, შვიდს—4 თვით და ორს—2 თვით; პოლიციაში დაპატიმრება: 3 მათგანს—1 თვით და ოთხს—2 კვირით. ეს გარდაწყვეტილება პალატაში განასაჩივრეს, როგორც თვით ბრალდებულთ, ისე ბრალმდებელმა. ბრალდებულთ იცავდნენ ნაფიცი ვექილნი: მ. ო. გრუზენბერგი, ლ. ანდრონიკაშვილი (ბაქოდგან), ტ. იოანისიანცი, ხომენტკოვსკი, ნაფიც ვექილის თანაშემწე ხატისოვი და კერძო ვექილი ხაჩატუროვი. სამოსამართლო პალატამ, 12 საათის თათბირის შემდეგ, გუშინ-წინ, 19 ოკდომბერს, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ტფ. ოლქის სასამართლოს დადგენილება 9 ბრალდებულთა გამართლების შესახებ დაამტკიცა, ხოლო დანარჩენი 31 კაცი კი დამნაშავედ იცნო და მიუსაჯა: 19 მათგანს—ყოველისავე განსაკუთრებულ, პირადად და შეძლებით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა: 9 მათგანს—10 თვითა და 10-ს—8 თვით; 6-ს მათგანს—ციხეში დაპატიმრება 6 თვით; ერთს—4 თვით; სამს—2 თვითა და 20 დღით, და ორს კი—პოლიციაში დაპატიმრება $1\frac{1}{2}$ თვით. უმაღლეს მანიფესტის ძალით, უკანასკნელ 12 დამნაშავეთ, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ პოლიციასა და ციხეში დაპატიმრება უფლება-ჩამოურთმევლად, სასჯელი ეპატიათ.

** **გიმე სტრიმულომ** შარშან წარუდგინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განცხადება და სთხოვდა: დამითმეთ ბაღოსნობის სკოლასთან სადგომი ოთხის ოთახით, მოვაწყობ შიგ ფუტკრის სკას და ბაღოსნობის სკოლის მოწაფეთ მუქთად ვასწავლი მეფუტკრეობასაო. საბჭომ შეიწყნარა ეს თხოვნა, დაუთმო სადგომი, მთხოვნელმა მოაწყო სკა, მაგრამ დღემდე არც ერთ მოსწავლისათვის არ უჩვენებია, თუ როგორ უნდა მეფუტკრეობის შესწავლა. ამის გამო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს წევრმა სოკოლოვმა საზოგადოებას წარუდგინა განცხადება და მოაგონა, რომ სტრიმულომ დაპირება არ შეასრულაო. საზოგ. საბჭომ გუშინ დაადგინა, სთხოვოს ბაღოსნობის სკოლის გამგეს ბ-ნ ხუნდაძეს, შეადგინოს მეფუტკრეობის შესასწავლიდ სახელძღვანელო და ამ. სახელმძღვანელოს თანახმად შეასწავლოს სტრიმულომ მოწაფეთ მეფუტკრეობა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი შენობიდგან განიდევნოს თავისის ბარგი-ბარხანით.

## ქალაქის საბჭო.

18 ოკდომბერს მოხდა საბჭოს კრება. ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა საბჭოს მოახსენა ყოვლის უწინარეს ამბავი ქველმოქმედებისა, რომელიც განუზრახავთ განსვენებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილის ძმებს: პატივცემულთ იაკობს, ლევანსა და პეტრეს. დაუვიწყარის სტეფანეს სახსოვრად, სხვათა კეთილ საქმეთა შორის, ძმებს ჯერ გადაუწყვეტიათ შესწირონ ქალაქს ასი ათასი მანეთი საბაშვო საავადმყოფოს დასაარსებლად, როგორც უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა. შემდეგ უფიქრნიათ, ვაი თუ ქალაქის თვითმართველობამ ადრე ვერ განახორციელოს ჩვენი განზრახვაო, და სწერენ თ-დ ჩერქეზიშვილს—ქალაქმა მხოლოდ თანხმობა გამოაცხადოს შეწირულების მიღებაზედ და გვიჩვენოს ადგილი, სადაც უპრიანად მიაჩნია საავადმყოფოს აშენება, ჩვენ მაშინვე შევუკვეთავთ გეგმას პეტერბურგის ხუროთმოძღვრებს, აგიშენებთ სახლსა, მოგიწყობთ და ჩაგაბარებთო.

საბჭომ ერთხმად დაადგინა: დიდი მადლობა ვუძღვნათ ძმათა ზუბალაშვილებს და ამ მადლობის გარდასაცემად დეპუტაცია იქმნას შედგენილი მთელის გამგეობისაგან, რომელმაც უნდა მიიწვიოს აგრეთვე რამოდენიმე საპატიო ხმოსანიც; საავადმყოფოს და ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას სახელი განსვენებულის სტეფანე კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისა და სადარბაზო ოთახში გამოკიდებულ იქმნას მისი სურათიო.

მეორე საყურადღებო საგანი იყო მოხსენება სამოსწავლო კომისიისა. ქალაქის სკოლების ზედამხედველთ ეძლევათ თვეში ოც ოცი მანეთი მოსამსახურის დასაქირავებლად. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ სკოლას მოსამსახურე არა ჰყავს და მათი ჯამაგირი კი ზედამხედველთ მიაქვთ. კომისიამ გადასწყვიტა,—დღეის იქით მოსამსახურეები უთუოდ ჰყავნდეთ და მათი ჯამაგირი პათვე ეძლეოდეთ ხელშიო. ეს ამბავი საშინლად ეწყინათ მასწავლებლებს. გამგეობა სთხოვდა საბჭოს—რადგან ასეთის განკარგულებით ზედამხედველთ მოაკლდათ ფულიო, სამართლიანობა მოითხოვს. მათს ჯამაგირებს თითო თუმანი მოვუმატოთ თვეშიო. ხმოსნებმა თ-დმა ა. მ. არღუთინსკიმ და ხუდადოვმა მხარი დაუჭირეს ზედამხედველთ და სთხოვდნენ საბჭოს, რომ ეს საწყენი დადგენილება კომისიისა გაუქმებულ იქმნეს და ისევ ძველი წესი დარჩესო. ხმოსნებმა ა. ს. ბაბოვმა და თ-მა მიქელაძემ განაცხადეს, რომ ყოველ დაწესებულებაში უმთავრესი ყურადღება უნდა წესიერების დაცვასა ჰქონდეს მიქცეულიო. დაჩაგრულთა მხარის მიცემა კარგი საქმეა, მაგაში ჩვენც წილი გვიდევს და არც არავის დავუთმობთ პირველობას, მაგრამ როდესაც ქალაქის ინტერესებზეა ლაპარაკი, მოვალენი ვართ ყველანი, დავიცვათ ჯერ ქალაქის ინტერესი და მხოლოდ შემდეგ კერძო კაცებისა, თუ იგი არ ეწინააღმდეგება ქალაქისასაო. ამ საგანზედ ხმოსნებმა თითქმის მთელი სამი საათი იბაასეს, მოიოხეს გული და ბოლოს ძლივ-ძლივ მივიდნენ დასკვნამდე. დასკვნა ის იყო, რომ საბჭომ დაამტკიცა კომისიის გარდაწყვეტილება და უარჰყო გამგეობის წინადადება.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ვერა**. წვიმა რომ მოვა, ყველა მხარეს არ გადასწვდებაო,—ნათქვამია, და სწორეც არის. აგერ რა ხანია, რაც ვერაზე შესდგა პატარა ამხანაგობა, რომლის სურვილიც იყო სახალხო თეატრის გამართვა ვერაზედვე, მაგრამ გავიდა თვეები, თითქმის წელიწადებიც და სად არის! თეატრი არ დაარსდა, თუმცა, როგორც ვიცით, ბევრს ეცადნენ და ყოველივე ღონე იღონეს. ამავე ხნის განმავლობაში-კი ავლაბარმა ბარე ორი თეატრი გაიჩინა. მურაშკოსი და არაქსიანისა.

ახლა, როგორც გავიგეთ, ჩვენს თანამოძმეს, ქართველ საზოგადოებაში ცნობილს ბატონს ყაზახელს განუზრახავს ვერაზე პატარა სახალხო თეატრის აგება; ეს თვისი სანაქებო და სასარგებლო განზრახვა უკვე უცნობებია ვერის სცენის მოყვარულთათვის. თქმა არ უნდა, რომ ბ-ნი ყაზახელი, თუ თავის განზრახვას განახორციელებს, ვერელების მადლობას დაიმსახურებს. ვუსურვოთ გამარჯვება.

პირდაპირი.

**მთაწმიდა**. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი უბანი მთიანი ადგილია და წმინდათაც არის შერაცხული, რადგანაც ათ-ცამეტთაგანს მამა დავით გარეჯელს უცხოვრია ამ მიდამოში, სადაც ტაძარია აგებული მის პატივის საცემად. მაგრამ სიწმინდე ამ ნეტარის ადგილ-საყოფელს მის დროს თუ ეთქმოდა, თორემ ახლა გამხდარა ბუდე ნაგავ-ნაწმენდისა, რომელსაც მცხოვრებნი მოწიწებით ინახვენ, იმის შემყურენი, აცა, როდის მოვა ერთი თქეში, რომ მოვარდნილ ხევს გავატანოთო. ხოლერა კარს მოგვადგა, სანიტარებმაც დაიარეს სახლები, მაგრამ სანაგვე ყუთების მდგომარეობა კი არ შეცვლილა. მიკვირს! ქალაქი გაფაციცებით ეძებს შემოსავლის გადიდების ღონესა და ნაგვის გაზიდვის საქმე კი ვერ გაურიგებია. საზღვარ გარეთ ყოველი ოჯახი მოვალეა დილაობით ნაგავი პატარა ყუთით გამოდგას ქუჩის კარში, რომ იჯარადრის ჩამოვლილმა ურემმა დასცალოს და წაიღოს; აქ კი, თუ სახლის პატრონი ხელმოჭერილიც არის, ყუთს ვიდრე პირთამდის არ მოჰყრის, ფიქრადაც არ მოუვა მისი გაზიდვინება. ამასობაში ნაგავი ლპება და მისის სულით იწამლება ჰაერი. რომელიც იძულებულია ჰყლაპოს უდანაშაულო მეზობელმა.

ეს ხომ უზრუნველობისა იყო. მზრუნველობაც ჩვენს ქალაქ უცნაური აქვს. ერთი ქუჩა, ლაბორატორიის მილის წყლის ონკანთან, თუმცა მორიყული იყო, თვალში არ მოუვიდა და ხელ-ახლა მოარიყვინა, ზოგიერთი მივარდნილი ქუჩა კი სულ მოურიყველი დარჩენილა და არც კიდეები აქვს ქვა-დაფენილი, თითქოს მისი მცხოვრებნი ქალაქის სასარგებლოდ გადასახადს არ იხდიდნენ. ასეთი უბედური ქუჩა ჩვენს უბანში გახლავსთ ვეძინის ქუჩა, რომელის ოღრო-ჩოღროებიც საარაკო გამხდარა, რადგანაც წვიმიან დღეში ბედის მაწყევინებელია, როგორც მეეტლის, ისე ქვეითად მოსიარულე ხალხისთვის. რა იქნებოდა, ის ფული, რაც ზემოხსენებულ ქუჩის აყრას და ხელ ახლა მორიყვას მოხმარდა, ვეძინის ქუჩის მორიყვას მოხმარებოდა? ქალაქის სამართლიანობის გრძნობით განმსჭვალულნი მცხოვრებნიც ხომ მადლობის მეტს არას მოახსენებდნენ? თორემ ახლა, თითქო ნაბიჭვრები იყვნენ, ყველას ხელი აუღია მათ ქუჩაზე—ღმერთსაც და კაცსაც, და გადაქცეულა თულის სამკვიდროდ.

მთაწმინდელი.

## უგ. თავ. ნ. მინგრელსკის აზრი მეგრულ ენაზე.

ბატონო რედაქტორო! ჩემ წერილებში ხელთ მომხვდა ერთი წერილი, მოწერილი ჩემთან განსვენებულ ნიკოლოოზ სამეგრელოს მთავრისაგან 1885 წელს, ე. ი. შემდეგ მისგან თავის ბიბლიოთეკის შემოწირვასა წერა კითხვის გამავცელებელ საზოგადოებისადმი.

რადგან ამ წერილში გამოხატულია სამეგრელოს მთავრის აზრი შესახებ მეგრულის ენისა, რომელსაც ზოგი ერთი ჩვენი სწავლული ფილოლოგები განსხვავებულ ენათა სთვლიან ქართულისაგან, ამის გამო საჭიროთ დავინახე თქვენ პატივცემულ გაზეთში ამ წერილის გამოქვეყნება, როგორც აზრი სამეგრელოს პირველ წარმომადგენელისა. ამ წერილშივე განსვენებული თ. სამეგრელოისა აცხადებს თავის სურვილს, რომ ბიბლიოთეკისათვის ჩვენს საზოგადოებას აეგო განსაკუთრებული სახლი, სადაც, სხვათა შორის, ექნებოდა ადგილი ჩვენ ძველ ნაშთებსაც.

თქვენი პატივის მცემელი
თავ. ვასილ მაჩაბელი.

„ჩემო ვასო, შენი ორივე წიგნი მომივიდა და ვჰქარობ შემოგწიროთ მადლობა, რომ ყოვლისფერი გააკეთე ისე, როგორც მე მსურდა და მიამებოდა. შენმა უკანასკნელმა წიგნმა საშინლათ მასიამოვნა; ოღონდ ერთი საქმე მაწუხებს, რომ ამბობ რამოდენიმე წიგნები დაკლდა ბიბლიოთეკასო». ამაზედ ახლავე ვშრობი განკარგულებას და ყოვლისფერი აღმოჩნდება თავის დროზედ. აქ დიდ მზადებაში ვართ. ჩვენ ვფიქრობთ რომ ავდანის საქმე შეიძლება გათავდეს დიდის უსიამოვნებით, იმედი გარიგებისა მაინც დაკარგული არ არის. ეს საქმე იმ ნაირი არის, რომ მთელს განათლებულ და გაუნათლებელ ქვეყნებს შეეხება. მე წავიკითხე ის სტატიები, რომლებიც ამტკიცებენ რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმგზავსეც არ არისო. ჩემი ამბავი ხომ იცი:—მე ვერაფერი გამაკვირვებს!... მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომლებიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერე ჩვენი ენა ისწავლონ და მერმედ სწერონ. ნამეტანი სწავლა ზოგიერთებს მთლად დააბნევს! მაგალითი ამაზედ ბევრია ქვეყანაშიდ. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს თავისი საკუთარი აზრი და რწმუნება, რომლიდაც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვაჯერებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ხალხს მაშინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მეგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს; ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები, ეს-და გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინეთელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ძველ ენაზედ ან გვასწავლოს ქართული. უგებას ამასაც მოვესწროთ. ახლა ჩვენ უნდა ვიფიქროთ სახლის შოვნა ჩვენის ბიბლიოთეკისათვის. ამაზედ თავის დროზედ ჩემს აზრს გაცნობებ. სირცხვილი იქნება ჩვენთვის, თუ ყველამ ერთად ვერ მოვახერხეთ ეს ადვილი საქმე. მაცნობე შენი აზრი შესახებ ფულებისა, რომლებიც დაგვჭირდება სახლის საყიდლათ თბილისში.

ჭკადის საქმეს როგორც წარმოება მიეცემა. იმწამს გაცნობებ იმედი მაქვს რომ რა დამავიწყებ და მომწერ მანდაურ ამბებს.

შენი მეგობარი ნიკო
17 აპრილს 1885 წ.
პეტერბურგი.

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## ს ა ლ ა მ ი.

(«მანჯურიის საზღვრიდან კავკასიელნი გულითად სალამს ეუძღვნით ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ. მუხრან-ბატონი, გაბაშვილი, საგინაშვილი და გულისაშვილი»). «ივერია», 10 ოკდომბერს 1904 წ, «ცნ. ფურც.» № 2634).

იქ... შორს... სადღაც... რა ხანია
საშინელი სისხლის ღვრაა;
მუსრს ავლებენ ერთმანერთსა,
შებრალება აღარაა!

—

სასიკვდილოდ განწირულნი,
სასიკვდილოდ კვლავ მიდიან
და სულით კი ჩვენთან მყოფნი,
გზიდამ სალამს მოგვიძღვნიან.

—

ოჰ, მწარეა ეს სალამი,
მწარე გრძნობის მომგვრელია;
სიყვარულით გამსჭვალული—
სიმულვილის აღმძვრელია!..

—

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა...
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი, სადით ძირსა?!“...

დუტუ მეგრელი.

## განთიადის მსხვერპლი

(სურათი).

....ეძინა.... დაღლილობისა გამო სახეს შესაბრალისი გამომეტყველება მიეღო... ეძინა ღრმად... თითქოს ძილში ეძებდა მოსვენებას, მომავალ იმედების ქადილს, თითქოს ძილით უახლოვდება ნეტარების ქვეყანას, რწმენის, იმედის აღთქმულ სამოთხესი, მიდუმებულიყო. სუნთქვა დრო და დრო-და ისმოდა... სახეზე ხან-და-ხან ღიმილი აღგებოდა, ღიმილი სიცოცხლეში კმაყოფილებისა, სიამოვნებისა, ღიმილი დაცინვისა, ირონია მის გუშინდელ ცხოვრებისადმი... ის ბედნიერი იყო ამ ერთ წამში. ამ ქვეყნად ეხლა არ იყო იგი აფრთოვანებული ცაში დაფრინავდა, ერთ ღრუბლიდან მეორეზე გადადიოდა, მნათობთა ცხოველ სხივებს მკერდში იკრავდა და, ერთ-წამს ყველაზე ძლიერი, ყველაზე თავისუფალი, ყველასაგან კაცად მიჩნეული, მოწონებული სიამოვნების, ნეტარების მორევში რონინებდა... ძილში ხან-და-ხან შეიძახებდა აღელვებით .. ალბად მტრებს მიერეკებოდა თავის სამფლობელოდგან. დიაღ!.. მიერეკება... შეუძლია-კი?!.

ოჰ! ნეტავი-კი შენ მუდამ ეგრე ბედნიერი, მუდამ ეგრე კმაყოფილი იყო, ჩემო ფუტკარო და!.. ნეტავი... ნეტავი.

განთიადი მოახლოვებული იყო... ვარდის ფრად შეღებილი ცისკარი და აგერ-ეგერ მიფანტული ღრუბელი წითლად შეღებულ მზეს ეწინამორბედებოდა და, თითქოს ბუნებას ნიშანი აღემართოს დიდებულ მომავალის მოლოდინისათვისო, ერთ ალაგს დაყუდებულიყო... ბულბული ჯერ კიდევ ვარდს დაჰკვნესოდა... სიო ოდნავ იძროდა და ზეცით ნეტარების ცრემლებს აპკურებდა ეზოში, მუხის ძირას მძინარე პატარა ვანოს... დიაღ! მძინარეს... ობოლ მძინარეს, რომელსაც სახლში შესვლა ვერ მოესწრო წინა ღამით დაღლილ-მოქანცულობის გამო.

ეხლა მძინარს სახე სრულიად შეეცვალა... ძილში ვიღასაც ეძახდა, დროა წავიდეთო... სწუხდა... ტანი უთრთოდა, გულს ბაგა-ბუგი გაუდიოდა, სახე ეპრანჭებოდა... საბრალო!.. უეჭველია, ნეტარებაში მყოფი ჯოჯოხეთის მოგონებამ შეაწუხა... მისი გვამიდგან ოხვრა-ღა ისმოდა...

ინათლა კიდეც... წუთიც და გაისმა შესაზარი ხმა „ქარხნის ძახილი“. ჩვენს მძინარს ჩაუტყდა ნეტარების ხიდი, რომელზედაც ამას წინად, აი ამ წუთში, აგრე სწრაფად, კმაყოფილებით, ამაყად მიდი-მოდიოდა. ის შეიძრა მთელის თავისის არსებით, თვალები მოიფშვნიტა და წამოდგომისთანავე სადღაც მიიმალა...

სიჩუმე იყო... შორიდგან ქარხნის გუგუნის ხმა მოისმოდა... სინათლე კი ცის სიბნელეს ებრძოდა.

ვაი შენს დედას, შვილო!.. წასულა კიდეც... ვაი.. დამიდგეს თვალი... ვერაფრით ვერ გამოვაღვიძე... ეჰ, ღმერთო, გმადლობ შენ, რომ ეს ერთად ერთი ნუგეში მომეცი!... შენ გენაცვალოს შენი დედა. ჩემო მუშაკო, ჩემო ოჯახის ბურჯო!!..

ქარხანა გაფაციცებით მუშაობდა. ვანო ზანტად ეკიდებოდა საქმეს. ეტყობოდა, საკმაოდ ვერ შეესვენა, რაიცა ხელს უშლიდა მხარი მიეცა უფრო შემძლეთათვის. ჰხედავდა ამას და ჯერ 13—14 წლის შრომის შვილი თავის ბედს იწყევლიდა...

ჰეი, ბიჭო, რა ბედნიერი ბიჭი გამხდარა ჩვენი კოლიე!?..

— როგორ, — თითქოს შეშურდაო, ჰკითხა ვანომ, რომელსაც სახეზე თავის ბედის უკმაყოფილება დაეტყო.

როგორ და... ეგზამენიე დაუჭერია გემნაზიაში.

— მერე შენ რა?!. რა გერგო, შე საცოდავო?

— რა მერგო?.. რა მერგო და გემნაზისტი ნაცნობი მეყოლება,—სიამოვნებით მიუგო დიმიტრემ, რომელიც ამ დროს სახერხ მანქანასთან იდგა და ფიცრებს ასწორებდა.

— ვაი, შე საბრალოვ!.. ზედაც არ შეგაფურთხებს... არ იცნობ კოწიეს შვილს?

«ეი!.. რა ამბავში ხართ, ვირებო»! მოისმა ხმა და ჩვენი პატარეები უხმოდ, უსიტყვოდ საქმეს შეუდგნენ.

რვა საათი სრულდებოდა. ვანო ფიქრმა წაიღო. ჰხედავდა თავის არარაობას, უმწეო მდგომარეობას... მოაგონდა თავისი ამხანაგები, როცა ისინი სოფლის სასწავლებელში ორ წელიწადს ერთად ისხდნენ. შემდეგ,—მოაგონდა ისიც, თუ როგორ მოაშორა დრომ მამა. მოაგონდა ეხლანდელი მდგომარეობა. ებრალებოდა ახალგაზდა თავი და სიტყვა კი ვერ ამოეთქვა, ვერ გაეზიარებინა მეზობლისათვის თავისი დარდი, რომელმაც, თითქოს იმწამს იპოვნა გამოსასვლელი კარიო, ისე გამოიწვია სალაპარაკოდ. ბავშვური სურვილი შეილახა... ჰხედავდა ამ უსამართლობას, ამ მეტოქობას და თან და თან ირკვეოდა. ძლიერ შორს წავიდა პატარა, ფიქრის ზღვიდან წყეულმა მანქანამ გამოიყვანა... ამ დროს მას მარცხენა ხელიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. ვანომ მიიხედა გარშემო და დიმიტრეს ცივი ხელები იგრძნო. სისხლის დანახვაზე შეკრთა. ეგონა, ეს სისხლი იყო მეტოქისა, რომელსაც ფიქრში ნახულმა ვანომ სილა გაჰკა.. რვა საათი შესრულდა... შესწყდა ფუსფუსი...

— ვაი შენს დედას, შვილო! შვილო, ჩემო ნუგეშო, ჩემო ერთად-ერთო იმედო, ჩემო პაწაწა მხსნელო! შვილო, ევლებოდა დედა სისხლში მოსვრილს პირმშოს და თან თავის გაჩენის დღეს, თავის გამჩენელს, ბედს, ხატს, სალოცავებს, ერს, ბერს, ყველას სწყევლიდა, ყველა ეზიზღებოდა ახლა, აი ამ წამში, ამ საშინელ დროს...

...ნენა!.. დედა!.. დიმიტრავ, იყო უკანასკნელი ამონაკვნესი და შეიწირა პაწაწა მხსვერპლი მშვენიერმა დილამ... დედის ქვითინი ცას ანგრევდა, დედამიწას სთუთქავდა... ვინ იყო მხსნელი?!. ამხანაგები წავიდ-წამოვიდნენ.

მზე ანათებდა არეს, რომელმაც ვანოს იმედები, და რწმენა გულში ჩაიკრა და დიდებულ მომავალის ციურ სალაროში გაიტანა. დაჰკრა ქარხანამ, გაიმართა იგივე გაცხარებული შრომა და ყველა დაღვრემილი, აღელვებული თავის საქმეს უხალისოდ მოეკიდა...

ვაკიჯვრელი.

# საქართველო

—

**იმერეთის ავკარგი.** ეკონომიური ყოფა-ცხოვრება. რამდენიც დრო მიდის, რამდენად მრავლდება და ფერადდება ადამიანთა შორის მოთხოვნილება, ცხოვრების-მიერ წამოყენებული, იმდენად სოფლის ცხოვრებას გაჭირვება და სიღატაკე ემჩნევა.—განუვითარებელმა მეურნეობამ ვერ დააკმაყოფილა აფერადებული მოთხოვნილება.—ჭრელ-ჭრულად გამოწყობა, სახელმწიფო ბეგარა, მღვდლისათვის ფული, სკოლისათვის ფული, მასწავლებელისათვის ფული—ვერ იშოვა საცოდავმა იმერელმა და, წინააღმდეგ თავისის გრძნობისა და მისწრაფებისა, იგი ჩამორჩა ცხოვრებას, ჩამორჩა თანამედროვე მიმდინარეობას. შევიწროვებული, შეხუთული, ძლივს-ღა ღაფავს სულს! მიწის დამუშავება, ასი, ორასი ბათმანი სიმინდის მოყვანა ჩვეულებრივად—ძველებურად არ შეადგენს გლეხის სიმდიდრეს,—როდესაც გლეხი ასი ფუთი სიმინდის ათი საპალნე ღვინის მოსავლით ბედნიერად რაცხდა თავს, თავისი თავი მდიდარ კაცად მიაჩნდა. მაგრამ დღემდე თუ ერთი რამ ჰქონდა საზრუნავი იმერელ გლეხს, დღეს ერთს ორი-სამი, სხვა მოემატა, და ამგვარად წინანდელი მდიდარი იმერელი დღეს სიღატაკეს და გაჭირვებას განიცდის.

ამ ბოლო დროს გაღატაკებულ იმერლობას ბუნებაც გაურისხდა და მათი მცირედი მოსავალიც განახევრდა.—გასული წლის მოსავალი მცირედი იყო; წლეს მოსავალს ძალიან ცუდი პირი უჩანს. ხშირი წვიმები, უდროვო დროს გვალვა, ხშირი ქარები—თამდებია, რომ წელსაც შარშანდელსავით მოსავალი მცირედი იქნება!

—

**უმეცრება და დაქვეითება.** რამდენად ხალხი მდიდარია მატერიალურად, იმდენად ის წინ წაწეული, და განვითარებულია გონივრულად! იმერეთი, როგორც ზევით დავინახეთ, ნივთიერი, მდგომარეობით უკან ჩამორჩენილია და რაღა საკვირველია, რომ ეს მატერიალურად ბეჩავი ხალხი, გონივრულად, და ზნეობრივათაც დაქვეითებული და დაცემული იყვეს.—იმერეთის სოფლებში განათლების სხივი ჯერ კიდევ მკრთალია, იმერეთის მკვიდრთა $75^{0}/_{0}$-ი ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარნი არიან!—იმერეთის სოფლებში იშვიათად შეხვდებით რიგიანათ მოწყობილ სკოლებს; მუნჯურის მეთოდით სწავლება, სამოსწავლო ნივთების უქონლობა, უსახსრობა, იმერეთის სკოლებს უნაყოფოდ ხდის.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს იმერეთის სოფლებში იშვიათად შეხვდებით, და, თუ სადმე შეხვდით, მეტად უნიადაგო და უსისტემონი არიან!—ერთ ალაგს ბიბლიოთეკა სამასხაროთ და სალაზღან დაროთ გადაუქცევიათ; მეორე ალაგას სამკითხველო ინტელიგენციის საკუთრებათ მიაჩნიათ და მდაბიო ხალხს სახალხო სამკითხველოში ალაგი არა აქვს!—წარმოდგენები იმერეთის სოფლებში ხომ იშვიათად იმართება და იმართება ის წარმოდგენა კი არა, მასხრობა და ლაზღანდარაობაა!

—

**ძველ ჩვეულებათა.** მონანი იმერლებს, ნივთიერათ დაქვეითებულთა და გონებრივად უკან ჩამორჩენილთ ძველ ჩვეულებათათვის მაგრად ჩაუბღაუჭებიათ ხელი—ძველებურად მიცვალებულთა გასვენება, ძველებური ქორწილი, ლხინი, დროს-ტარება,—ჯერ კიდევ არ ამოფხვრილა და არ გამქრალა იმერთა შორის.—იმერელი მუშა ხარს ყიდის, ღარიბდება, ღატაკდება და თავის მიცვალებულის დასაფლავების დღეს ქვეყანას აჭმევს და აძღობს; ასევე იქცევა ქორწინებსა და დღესასწაულებში! ყველანი ვხედავთ, რომ ლითონს დიდი ფასი დაედო და მისი უმნიშვნელოდ ფლანგვა ზიანს გვაძლევს, მაგრამ მაინც ვერ გსწორდით.

—

**ახალგაზდების გასვლა სოფლებიდგან.** გაჭირვებამ, სიღატაკემ, უსახსრობამ, მოუსავლობამ, დიდმა გასავალმა და მცირე შემოსავალმა იმერეთის ახალგაზდობას ხელი ააღებინა სოფელზე და ძალა-უნებრივ ეს ცოცხალი ძალა ქალაქებისკენ გაისტუმრა ფულის საშოვნელად. ამ უკანასკნელ ხანებში იმერეთის სოფლებში იშვიათად შეხვდებით სიცოცხლით სავსე ახალგაზდობას; ყველა ქალაქებში გადის.

სად, რომელი კუთხე იქნება რუსეთში, რომ იმერელს არ შეხვდე?! ერთნი ქარხნებში მუშაობენ, მეორენი კურტნით დადიან, მესამენი ლაქიობენ და მზარეულობენ, მეოთხესა და მეხუთეს ხანგრძლივის შრომით საკუთრება შეუძენია, ფულის პატრონი გამხდარა, ვაჭრობა დაუწყია, დაუქირავებია მსახურნი, ნოქრები და გუშინდელი მონა, დღეს ბატონობის ტაბლას დაწაფებია!—ერთის სიტყვით, სოფლის ახალგაზდობა საარაკო სისწრაფით მირბის ქალაქებისკენ და ვინც კი სოფლად რჩება, სიღატაკესა და უმეცრებაში იმყოფებიან.

ილია ბახტაძე.

## ებრაული სიბრძნე.

—

დრომ გაიარა, შეცდომით ვამბობთ ჩვენ. დრო დგას,—გავიარეთ მხოლოდ ჩვენ.

⁂ თუ უსაზღვროა ქალის გულ-კეთილობა, მოჭხდება ისიც, რომ მისს სიბოროტეს არ აქვს საზღვარი.

⁂ კარგი ცოლი დაუფასებელი საჩუქარია ქმრისათვის, ბოროტი კი—განუკურნებელი სენია.

⁂ გულის თქმა ადამიანისათვის ჯერ ობობას ქსელია, მერე მაგარი ბაწარი.

⁂ გულის თქმა ჯერ ვითომ უცხოა, მერე—სტუმარი და ბოლოს მასპინძელი.

# მასართობი

—

**გაუტეხელი სახელი.**

კნიაზი ილო ზის სევდიანი
თავის უვაზო ვენახის თავში
და შფოთავს, ღელავს თვალ-ცრემლიანი:
გუშინ ქართლელმა აჯობა სმაში!!

ჰოჲ, დამცირებავ! ვაი, სახელო!
ვინ მოელოდა ამასა, ვინა?
ვაჰ, აგდებულო მასხრად, კახელო,
თავი ვინ მოგჭრა, ვინ შეგარცხვინა?!

ახ, მეტი ღონე არ არის, არა!
ხანჯალი იკარ, ილოჯან, გულში!
მაგრამ ხანჯალი მარტო არ კმარა,
ტყვია «დუმ-დუმი» ჩაისვი შუბლში!

კნიაზი ილო ზის დაღვრემილი
და.. მოაგონდა მას მწვადი... ხაში...
რამ დაავიწყა?! მოსდის ღიმილი:
ქართლელს აჯობა იმან ჭამაში!!

ქართლელი ძალას ღვინოს ატანდა,
ჭამა ვერ შესლო, მხოლოთა სვამდა;
ილო კი ღვინოს ხაშს, მწვადს ატანდა:
სმითა ხომ სვამდა, თან რამდენს სჭამდა!...

ამოიოხრა შვებით თავადმა
და თავის მუცელს გადუსვა ხელი:
ღვინომ უმტყუნა—ხაშმა და მწვადმა
მას დაუბრუნა ისევ სახელი!...

მაყაშ—ი.

## ლექსისებური.

მამულს.

რა რიგ გავცუდდით, რარიგ დავეცით, ეჰ მამულო, ყველანი, ძენი და ასულნი შენნი! შეიძლება-ღა ამაზედ მეტი დაქვეითება?—შენ-ჩემობამ, შურმა და მტრობამ მთლად დაიმონა ჩვენი ფიქრნი, გრძნობანი ჩვენნი; ჩვენი წადილი და ოცნებანი ცხოვრების მრწამსმა დაიმორჩილა! არად ვარგივართ!.. შენთვის ზრუნვა და გულ-შემატკივრობა სიზმრათ თუ გვახსოვს, თორემ საქმით იმას ჩავდივართ, რაც უფრო გწყინს და ბოლოს გიღებს სამარადისოდ!

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს"—გვანუგეშებენ ზოგნი ხანდისხან... ჭრელი სიტყვა ტკბილის საუბრისა დიალაც რომ კმაყოფილს ჰყოფს მჩატე გონებასა. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ არ მომკვდარა და არც მოკვდება იგი როდისმე. საქმე ის არის, რომ ჩვენ დავკუტდით; ღატაკნი სულით, სუსტნი გონებით, წადილ-გრძნობებით დახავსებულნი—მკვდრები ჩვენა ვართ!..

კერას ქვეყნისას ქექვა რას არგებს!—შეზრევა უნდა მიმქრალ ნაკვერჩხლებს, მბჟუტავ მუგუზლებს—გაჩაღება, ფიჩხისა და შეშის შეწყობა, რათა აღენთოს და გაჩაღდეს ცეცხლი საქმისა, რომ შრომის ალი მამულს ათბობდეს!...

ტასიაშვილი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ახალი რუსული გაზეთი «ზაპადნი გოლოსი», რომელიც ვარშავაში იბეჭდება, სწერს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მშვენიერ და პატიოსნებით აღსავსე სიტყვის შემდეგ, რომლითაც ისე ცხადად იქმნა გარკვეული, თუ რას უნდა ემსახურებოდეს მთლად რუსეთის მწერლობა, სწორედ უპატიოსნო კაცად უნდა მივიჩნიოთ ყოველი, ვინც კი ჰგონებს მაინც, რომ ვითომ ეროვნულის მტრობის ქადაგებით, მდაბიოთა ქვენა ინსტიქტების გაღვიძებითა და ჭეშმარიტების დაბნელებით შეიძლება პატიოსნად სამშობლოს სამსახური.

უნდა გვახსოვდეს,—არ შეიძლება არ გვახსოვდეს და არ ვიცოდეთ,—რომ არა ძალის უფლებითა, არამედ უფლების ძალით შეიძლება შეიქმნას ის მტკიცე და შეუმუსვრელი სახელმწიფო მართლ-წესიერება, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ მიანიჭოს ხალხს ის სიკეთე, რა სიკეთისათვისაც ბ-ნმა მინისტრმა მოახერხა ყველა საუკეთესო კაცთა გაერთიანება.

—

რუსეთის გაზეთები კვლავ დიდს ყურადღებას აქცევენ მწერლობის მდგომარეობას. «რუს. ვედ.»-ი ამბობს:

რუსეთის მწერლობა ვერა ჰგრძნობს ფეხ-ქვეშ მტკიცე ნიადაგს კანონისას, ისეთის კანონისას, რომელიც ცხადად და მტკიცედ არკვევდეს თითოეულის უფლებასა და მოვალეობას; მაგრამ მწერლობამ კარგად იცის, რაოდენ სხვა და სხვა და ცვალებადია საზღვარი ნება-დართულისა და ნება-დაურთველისა. ეგ უფლება საზღვრების დადებისა მინიჭებული აქვს ადმინისტრაციას, რომლის განკარგულებასაც იძულებითი ძალა აქვს კანონისა, გარნა მოკლებულია იმასაც, რომ გამუდმებით ერთნაირად არ მოქმედობს და იმასაც, რომ საყოველთაო საცოდნელი არ არის. პასუხს გებს მწერლობა, თუ ვინიცობაა დაარღვია წესები, დიდია, ყოვლად მძიმე სასჯელს ადებს მწერლობას ადმინისტრაცია თავის ნებით და მოსაზრებით. შეუძლიან გააუქმოს კიდეც გაზეთი თუ ჟურნალი. მწერლობის მუშაკთ ის უფლებაც-კი არა აქვთ, რომ თავი დაიცვან, თუ რამ ბრალი ედებათ, ესე იგი, არა აქვთ ის უფლება, რომელიც მიუნიჭებია კანონს ყოველის ბრალდებულისათვის, რაც უნდა ცხადი და აშკარა იყოს მისი ბრალი, მისი დანაშაული. როგორც ძველად იყო, ვიდრე გამოიცემოდა საცენზურო კანონი 1865 წლისა, ისე ახლაც თითქმის. ცენზურისაგან ნება-დართულის წერილისათვისაც კი შეიძლება ადმინისტრაციამ დასაჯოს გაზეთი თუ ჟურნალი. როგორც მაშინ, ახლაც ადმინისტრაციას ნება აქვს ისე აცენზუროს, როგორც თავის ნებაა. შეუძლიან აგრეთვე თავის ნებაზედ შეაჩეროს ან სრულიად აღკრძალოს გაზეთი თუ ჟურნალი. ამას ამბობდა კომისია 1865 წელს, და ეს ასეა ახლაც. თქმა იმისი, რომ ესა და ეს გაზეთი მავნებელის მიმართულებისაო, არ არის გარკვეული და განსაზღვრული... რუსეთის მწერლობამ არ იცის, რის ნება აქვს და რისა არა, თუ რომ უფლება აქვს მინიჭებული დღეს, შეიძლება ხვალ უკან წაერთვას. რასაც დღეს უთმენენ, შეიძლება იმისთვის ხვალ დაისაჯოს. ცხადია, ამისთანა გარემოებაში მწერლობას არ შეუძლიან შეასრულოს თვისი დანიშნულება და დიდი სამსახური ქვეყნის წინაშე. ამას ყოველსავე მოახერხებს მხოლოდ მაშინ, როცა მისნი უფლებანი უზრუნველ ყოფილ იქმნება კანონითა და წესიერად მოწყობილ სამართლითა.

# თეატრი და ხელოვნება

—

**ავლაბრის წარმოდგენების გამო.** თითქმის ერთ წელიწადზე მეტია, რაც ავლაბარში წარმოდგენების საქმე მოეწყო, ჯერ მურაშკოს პატარა თეატრში და შემდეგ არაქსიანის მოდიდო თეატრში. ამ ხნის განმავლობაში ბევრი საცოდაობა განიცადეს ავლაბრელებმა თეატრებში სიარულით, ბევრჯელ ისმინეს (და ითმინეს) სცენის-მოყვარეთაგან პიესების დამახინჯება-შელახვა და ძვირათ კი—რიგიანი წარმოდგენა. ასე რომ, ერთ საღამოს „ფრანც მოორიც" კი გაჩნდა ავლაბრის თეატრის სცენაზედ და ეს ძლიერი ტიპი გარყვნილებისა და სიმახინჯისა, ცირკის ჯამბაზად დაგვიხატეს.

რა თქმა უნდა, ასეთის წარმოდგენებით ხალხის გამოკვება და დაკმაყოფილება ყოვლად შეუძლებელია და, მით უმეტეს, ვერც თავის დანიშნულებას მიაღწევს თეატრი და ხელოვნება. აბა რა ზედგავლენა უნდა იქონიოს მაყურებლებზედ ისეთმა სცენის მოყვარემ, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს არა თუ პიესასა და მისს შინაარსზე, არამედ თავის თავზედაც. ნუ თუ ისეთ სცენის-მოყვარეს, რომელსაც ანი და ბანი არ ესმის, შეუძლია წარმოგვიდგინოს «ექიმი შტოკმანი» და სხვა მაგვარი პიესები?

სამწუხაროდ, ასეთი სცენის-მოყვარეები ძალზე გაგვიმრავლებია და, თუ მათმიერვე გამოკრულ აფიშებს დავუჯერებთ, 45 რიცხვსაც ეთანაბრება. განა რომ საკვირველია, მკითხველო, ხოლო მართალი კია! შემეძლო თითოეულად ჩამომეთვალა, მაგრამ ძრიელს შორს კი წაგვიყვანდა იმათი მჭედლიშვილობა-ბადდასარიან-ფირუმიანობა.

სცენის-მოყვარეები წარმოადგენენ ორ ჯგუფს (ამ ბოლოს დროს გაიყვნენ, როგორც ეტყობა). პირველი ჯგუფი უფრო მრავალ-რიცხვოვანია, მეორე კი—ნაკლები. თითოეული თავის თავს იხსენიებს ქართველ-სომეხ სცენის მოყვარეთა ამხანაგობად; პირველში სომხები სჭარბობენ, მეორეში კი ქართველები; პირველს ვინ მეთაურობს, არაა ცნობილი, მეორეს კი ბ-ნი ნასიძე. პირველმა ჯგუფმა თავისი რეპერტუარიც გამოსცა და შიგ მოაქცია ისეთი პიესები, როგორიც არის: «ექიმი შტოკმანი», «ცხოვრება ბრძოლაა», «უპატიოსნონი არ იბადებიან», «ცხოვრების გარეშე», «უდანაშაულოდ დასჯილნი» და სხვები, რომელთა დამახინჯებაც უფრო შეეძლებათ, ვიდრე წარმოდგენა.

დაუფიქრდნენ მაინც სცენის-მოყვარეები, რას სჩადიან! განა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ ასეთ პიესების წარმოდგენა მათს ძალას აღემატება?..

ყველანი წაგებაში არიან: მაყურებლები და სცენის მოყვარენიც, ბ-ნ არაქსიანის გარდა; სცენის მოყვარეთა დაქუცმაცებით და დაცალკევებით სარგებლობს არაქსიანი. ამიტომ საჭიროა შედგეს ერთი ამხანაგობა, ერთი ძალა, რომ მით კარგად გაუძღვნენ საქმეს. ამასთან საჭიროა ერთი ან ორი მცოდნე კაცი, რომ იმასთან შეთანხმებით იქცეოდეს სცენის-მოყვარე. თუ ამით ეშველება რამე ავლაბრის წარმოდგენებს, თორემ უიმისოდ წარღვნაა მოსალოდნელი, ვიდრე რაიმე სარგებლობის მოტანა

სვია.

—

**ქართული წარმოდგენა ქუთაისში.** კვირას, 17 ოკდომბერს, ქართულმა დრამატ. დასმა წარმოადგინა ახალი ისტორ. 4 მოქმედ. პიესა «მეფის მოღალატე» (ანუ დიდი როსტომ ერისთავი. თ. ხუსკივაძისა. საზოგადოება ბლომათ დაესწრო, მაგრამ, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდა. პიესა სუსტი გამოდგა, ავტორს მარტო ისტორიული ფაქტები გადმოუწერია ენა-წყლიანათ...

პიესა კარგად იყო მომზადებული, მაგრამ ვერც ხელოვნურმა თამაშმა გასჭრა.

ერთი შენიშვნაც. თეატრში მესამე მოქმედებიდან მოსამსახურეებმა თავი მიანებეს საქმეს და თეატრი უბილეთო და მთვრალი ხალხით გაივსო.

—

**ქართული წარმოდგენა კავკავში.** კვირას, 17-ს ოკდომბერს, კავკაის სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ა. ცაგარლის ოთხ-მოქმედებიანი კომედია «ციმბირელი». ქ-ნი ყაზახაშვილი (თაზაგულ) პირველ-მოქმედებაში შეკრთა, შემდეგში კი თავისი როლი მწყობრად ჩაატარა. ქ-ნი მოზდოკელაშვილი თავისს როლში შეუდარებელი იყო. არა ნაკლებ შეასრულა თავისი როლი ნ. რონინაშვილმა, რომელიც ეს მეორეთ გამოვიდა სცენაზედ, და დიდი უნარი გამოიჩინა. მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები ნ. ფიცხელაურმა და ს. აკოფაშვილმა.

ბ-ნმა ლ. ბოცვაძემ თავისის თამაშობით დაგვიმტკიცა, რომ იმას შეუძლიან კარგად ჩაატაროს იგეთი ძნელი როლიც კი, როგორიც მაზუთიანის როლია. იმედია, ამის შემდეგ უფრო ხშირად დავვენახვება სცენაზე. ჩინებულად ჩაატარა თავისი როლი ნ. ყაზბეგმა. ბევრი აცინა საზოგადოება მ. სურამელმა. თუმცა წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, მაგრამ საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო, განსაკუთრებით არ იყო ინტელიგენცია. ეს ერთი მაგალითი კიდევ, რომ დიდი საზღვარია საქმესა და სიტყვას შუა. დაბალ ხალხს მაგალითი უნდა და ამ მაგალითს კი ისინი მოკლებულნი არიან.

ვინმე.

# ნარევი

—

**სისხლის ამოღება.** სისხლის ამოღება, სისხლის ამოტანება ნახველთან ერთად შიშის ზარს დასცემს ხოლმე ხშირად ავადმყოფებს. ან კი რა ხუმრობაა ასეთი ავიდმყოფობა?! სისხლის ამოღება, ნახველთან მისი ამოყოლება იმდენად თავის თავად არ არის საშიში, რამდენად მით, რომ მაშინვე ჭლექი წარმოუდგება ადამიანს და სისხლის ამოღების მიზეზად ჭლექს მიიჩნევენ ხოლმე, ნამდვილად კი ხშირად ჭლექი არ არის მიზეზი. მკურნალთა და მეცნიერთა გამოკვლევით, სისხლის ამოღების მიზეზი ხშირად სულ სხვაა და საშიში, გულ-გასახეთქი არაფერია. სისხლი შეიძლება წამოვიდეს ცხვირიდან, პირიდან და სისხლი წვრილ-წვრილ მილის დაზიანებით, ან სისხლის გაქვანით მილში. ხშირად ასეცა ჰხდება და მკურნალთ კი ჰგონიათ, ნამდვილად ფილტვებიდან არისო. და ეს ხომ ჭლექის ნიშანიაო მკურნალი კარგად უნდა დაუკვირდეს სისხლის ამოღების მიზეზს და, თუ მიხვდა, რომ ფილტვებიდან არ მოდის, ადვილად მოარჩენს ავადმყოფს. სისხლის რაოდენობამაც არ უნდა შეაშინოს ადამიანი, რადგანაც არც ესა ჰნიშნავს, რომ უთუოდ მიზეზი ფილტვების დაზიანებაა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

19 ოკდომბერი.

**ტოკიო,** 19 ოკდომბერი (რეიტერი). მოჯში ყუმბარამ 50 მეზღვაური მოჰკლა.

**ლონდონი.** «რეიტერის სააგენტოს»-ს კორესპონდენტი რუსეთის აღმოსავლეთ ლაშქრისა 18 ოკდომბრის თარიღით იუწყება, ხელმწიფის მოადგილე ხარბინიდან ყირიმს მიდისო. კუროპატკინი ჯერ-ჯერობით თვით ისარდლებს, მინამ მოვლენ ახლად დანიშნული გენერლები, მაშინ კი უმთავრეს გამგეობას ჯარებისას შუაგულ ადგილიდან თვით იკისრებს.—ლაშქრის მდგომარეობა არ შეცვლილა. იაპონელებმა ლიაოიანს პორტ-არტურიდან ჯარი მიაშველეს. ეხლა იაპონელები რუსებზე მეტნი არიან. ელიან იაპონელების სატევს მოქმედებას.

**ლონდონი.** (რეიტერი). მეფემ დაიბარა სასახლეში ლანსდოუნი. აუდიენციამ დიდხანს გასტანა.

**ტიანძინი.** (რეიტერი). ტელინიდან იტყობინებიან, ვაკე ადგილი მდინარესა და ქალაქს შუა აჭრელებულია სანგრებითა და ორმოებით, რომელშიაც დარჭობილია გამწვეტიანებული პალოები. ჩინეთის მთავრობამ ფორმალურად აკრძალა, რომ არ დაარღვიონ ნეიტრალიტეტი ბებძროლთათვის სურსათის მიწოდებით.

**ლონდონი.** (რეიტერი). «სტანდარტი» ამბობს, ოთხმა დელეგატმა, რომელნიც სამშაბათს წავიდნენ ჩრდილოეთის ზღვაში საქმის გამოსაძიებლად, გადასცეს პირადად გემების პატრონებს ანგარიში. თავდაპირველი გამოძიება საამირბაროს განკარგულებით მოხდა. დელეგატებმა 20 სათევზაო გემი სცნეს დაზიანებულად, იმათგან რამდენიმე ძალიან დაზიანებულა, ზოგი კი ნაკლებად. ზოგან ბადეები და სხვა სათევზაო კუთვნილებანი დაზიანებულა, ან სულ ერთიან გაფუჭებულა.

20 ოკდომბერი

**ჰიბრალტარი.** (რეიტერი). ხმაა, გარნიზონი მზად არის, კლდეებზე დაიჭიროს პოზიციებიო. ირწმუნებიან, აქ მყოფმა ინგლისის სამხედრო გემებმა ბრძანები მიიღეს, მზად იყვნენ და გავიდნენ ზღვაზე პირველისავე ბრძანების უმალ. გახურებული მუშაობა შიშსა ჰგვრის. ჩქარმსროლელ ზარბაზნების მსახურთ თავის პოზიციები დაიკავეს. ქვეითა ჯარის რაზმები ზღვის ნაპირებზე დააყენეს. ელექტრონის პროჟექტორებს სასტიკად იცავენ.

**ლონდონი.** (რეიტერი). დღეს ლონდონში ის აზრი იმარჯვებს, რომ ინგლისს-რუსეთის მოლაპარაკება სასურველად ვერ მიდისო.

**ლონდონი,** (რეიტერი). ბენკენდორფი ინახულა მეფემ.

**ლონდონი,** (რეიტერი). კუროკის ლაშქარში მყოფი „რეიტერის სააგ.“-ს კორესპონდენტი იუწყება, რუსები 18 ოკდომბერს თავის პოზიციებიდან იაპონელებს ესროდნენ. თოფისა და ზარბაზნის ძლიერი სროლა დილამდე არ შეწყვეტილა.

**ვიგო.** (რეიტერი). რუსის ესკადრა დილის რვა საათზე წავიდა. იმას უკან დაედევნა ესპანიის კრეისერი „ესტრამადურა“.

**ტანჟერი,** 17 ოკდომბერი (ჰავასი). დილით დაასაფლავეს რუსის მღვდელი კრეისერ «ავრორასი», რომელიც იმიტომ გარდაიცვალა, რომ გვიან გაუკეთეს აპერაცია ხელისა. გემებზე სურსათს კიდევ უდებენ. რაც კი ტანჟერში საქონელი იყო დუქნებში, სულ იყიდეს. გემებზე პირუტყვი საქონელიც აიყვანეს. მოვიდა კიდევ ერთი ტრანსპორტი ნახშირითა.

### საღამოს დეპეშები.

**ჩიფუ.** 19 ოკდ. (რეიტერი). ნაღმოსან „რეშიტელნის“ უფროსი და ამ გემის მეზღვაურნი შანჰაიდან გამომავალ გემზედ დასხდნენ, მაგრამ ეს გემი უცაბედად დაბრუნდა ჩიფუს, რადგანაც ჩინეთის მთავრობამ უარჰყო მისგანვე წინად მიცემული ნება-რთვა და არ გამოუშვა.

**ლონდონი,** 19 ოკდ. (რეიტერი). გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა შემდეგი ცნობა: „ვიდრე რუსის ესკადრა ვიგოდან გამოვიდოდა, რუსის ადმირალმა მიიღო ინსტრუქცია და ჩვენება, რომ რუსის ესკადრას არავინ შეევიწროვებინა და ხელი არ შეეშალა ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვაჭრობისათვის შორეულ აღმოსავლეთში გადასვლის დროს. რუსეთის-მიერ მიღებულ ვალდებულების თანახმად, რუსის ესკადრის ოთხი აფიცერი ვიგოს დარჩა. ამ ჟამად ორივე სახელმწიფო იმ პირობათა განხილვაშია, რომლითაც ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარი ინციდენტი უნდა წარედგინოს გასახილველად საერთაშორისო კომისიას, რომელსაც მიენდობა განზრახულ გამოძიების მოხდენა“.

იმ ხმების გამო, რომელიც საზოგადოებასა და გაზეთებში გავრცელდა, ვითომ ინგლისის ესკადრა გიბრალტარიდგან მიდისო და მოწვეულია აფიცერთა საბჭოო, „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი გიბრალტარიდგან დეპეშით იუწყება, რომ ესკადრა ღუზაზედა სდგას, მაგრამ წასასვლელად კი არის მზად. რაც შეეხება აფიცერთა საბჭოს, ადგილობრივმა მთავრობის მოხელეებმა წესიერად სცნეს, რომ აფიცრები ყოველ დღე მოიწვიონ გუბერნატორის სადგომში. გიბრალტარის გაზეთები იუწყებიან, რომ სიმაგრის მეციხოვნენი საომარ ფეხზედ იქმნა დაყენებულიო.

**გიბრალტარი.** (რეიტერი) ადგილობრივ მეციხოვნეთა არტილერიის მეორმოცდაათე როტამ, რომელიც სიერა-ლეონედგან მოვიდა და ინგლისს მიემართებოდა, ბრძანება მიიღო, აქ დარჩითო.

**ტოკიო.** (რეიტერი). პორტ-არტურთან მყოფ იაპონიის ლაშქართ მოხსენება 13 ოკდომბრის თარიღით: იაპონიის რაზმის ნაწილი წავიდა იერიშით სუნშუსანის თხრილებზე. რიზმის შუბლმა იერიში მიიტანა ერლუშანზე და პალიჯუანის სამხრეთ ნაწილზე. როცა იაპონელებმა ეს ადგილები დაიჭირეს, რუსებმა დაუშინეს იმ ადგილებს, სადაც იერიში იყო. ერლუშანის ერთს ბაქანზე ნაღმმა იფეთქა, მაგრამ ზიანი არ მიუცია იაპონელებისათვის, ღამით იაპონელნი ესროდენ ყუმბარებს ერლუშანს და სამს სხვა სიმაგრესა, რომ იქ მუშაობისათვის ხელი შეეშალათ. 14 ოკდომბერს ციხეს ესროდენ საალყე ზარბაზნებიდან. ამ ბრძოლის შესანიშნავი შედეგი ის ისყო, რომ ზარბაზნები დაზიანეს კიკუანშანის აღმოსავლეთად და სამ ოთხ ალაგს სანგრები დაანგრიეს, ზოგან პატარა დაიმტვრა. იაპონიის ყუმბარებმა დახურული სანგრები დაანგრიეს ერლუშანში, დაიმტვრა ორი ტყვიის მფრქვეველი სანშუნშანში და ორი ზარბაზანიც დაიმტვრა. ღამის იერიშების დროს რუსები ყოველ ღონეს ხმარობდნენ. რომ იაპონელების იერიში უკუექციათ და ხელის ყუმბარებს ხმარობენ. 15 ოკდ. ძლიერი ყუმბარების სროლა იყო. რუსებმა გატეხილი გვერდი ციხისა მიწით სავსე ტომრებით გამოსტენეს, აღმოსავლეთის მხრივ აფეთქდა ტყვია-წამლიის სარდაფი და დაამტვრიეს საბარო ზარბაზანი. სცუმანის ფორტში გადააბრუნეს თორმეტ დიუმიანი ზარბაზანი; დააზიანეს დახურული სანგრები და მავთულთ ხერხები. 203 მეტრის სიმაღლე სერიდან ორგან ცეცხლი შენიშნეს: ერთი ქალაქის მხარეზე, მეორე სახელოსნოებში ოქროს მთის ძირს. 16 ოკდომბერს ყუმბარები უფრო ძლიერად დაუშინეს; გათენებისას ასმა რუსმა იერიში მიიტანეს ნაღმის გალერეიაზე, რომელიც გატარებულია ერლუგანშანისაკენ, მაგრამ დიდი ზარალით უკუაქციეს. ამავე დროს ვიდრე ასმა კაცმა რუსებისამ სხვა ალაგას მიიტანა იერიში გალერეიაზე სუნშანსანუსაკენ. იაპონელები მაგრა დაუხვდნენ, მაგრამ მაინც ნაწილი გალერეისა დასცალეს.

**ტანჟერი.** რუსის გემებმა ნახშირის დადება გაათავეს. აფიცრები ამბობენ, წასვლის შესახებ გარკვევით არა ვიცით რაო, რადგანაც ადმირალი როჟდენსტვენსკი აქ არ არისო. რუსის გემები იმის მოსვლამდე აქ დარჩებიან, ან უმაღლესის მთავრობის განკარგულებამდე.

**ჩიფუ,** 19 ოკდომბერი (რეიტერი). როგორც დამატებითი ცნობები გადმოგვცემენ, უკანასკნელ უმთავრეს იერიშის დროს ღამე, 15 ოკდომბერს, იაპონელებმა გამოდევნეს რუსნი უკსნასკნელი სანგრებიდან სიმაგრეების წინ. იაპონელთ განზრახვა აქვთ, ერთსა და იმავე დროს რავდენიმე ფორტი აიღონ, რომელნიც ერთმანერთს იცავენ. იაპონელთ ინჩანის მხრიდანაც წაიწიეს წინ. 17 ოკდომბერს დაუნახავთ იაპონელთა ბაირადი ორ ახალ პოზიციაზე, რომელთა სახელი უწყებული არ არის.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენ.-ლეიტ. სახაროვისა მთავარ შტაბს, 19 ოკდომბრის თარიღით: «18 ოკდომბერს მტერმა არტილერიით ზარბაზანი დაგვიშინა სოფ. ხოუთხაის მაღლობიდგან სოფ. შალანძში, მაგრამ ზარალი არ მოგვსვლია. ჩვენმა ბატარეიამ უპასუხა მტერს, დაუზიანა ერთი ზარბაზანი და აიძულა მოსამსახურე გაქცეულიყო. მთელის დღის განმავლობაში სოფ. სახეპუს არტილერიას უშენდნენ. ჩვენ ზარალი არ მოგვსვლია. 19 ოკდომბერს, გათენებისას, მტერი სცდილობდა ჩვენის შუაგულ ჯარისკენ წინ წამოწევას, მაგრამ ჩვენმა სადარაჯო რაზმმა უკუ-აქცია. ამავე დღეს, 19 ოკდომბერს, მტერმა მოინდომა პუტილოვის გორაკის პირდაპირ ბატარეის დადგმა, მაგრამ ჩვენებმა ხელი შეუშალეს. დღისით პუტილოვის გორაკს შრაპნელს ესროდნენ. აღმოჩნდა, რომ ჩვენის მარცხენა ფრთისაკენ მოიწევენ იაპონელნი. მარჯვენა ფრთისაკენ იაპონელთ კვლავ დაიპირეს სოფ. სანდეპუ».

---

დროებით რედაქტორი **ზრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

15 ოკდომბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,25 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | — |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 91⅞ ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 89 მ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 415 წ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 319 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 266 წ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 89½ ნ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი
ს. ბ. თოფურიას
**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

---

**გამოვიდა და ისყიდება**
ახალი წიგნი
**უცხო სიტყვათა ლექსიკონი**
შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.
წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

---

**ვკისრულობ**
კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

გამოვიდა ახალი
**კ ა ტ ა ლ ო გ ი**
წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიის წიგნებისა. მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ უფასოდ წიგნის მაღაზიებში.

---

## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ,** მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ,** მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу,** მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—3).

---

# საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევსა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

---

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნ.-ნოვგოროდი.

# კ ა ლ ო შ ე ბ ი ს ა

**და რეზინის სხვა საქონლისათვის**
**უდიდესი ჯილდო**
(Grand prix)
პარიჟის გამოფენაზე მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა ს
**რუსეთ-ამერიკის**
რეზინის მანუფაკტურისას
**ს.-პეტერბურგში,**
დაარსებულს **1860** წელს.



**რეზინის კალოშების** ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-ПЕТЕРБУРГЪ“ (წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

**„ლეოპოლდ ნიეშელლერი“**

პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკათერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, **ტფილისს** და ტაშკენტში. (60—60).